ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომის

ო ქ მ ი N 26

13 ივნისი , 2024 წელი, 17:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3,
ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე–2
სართულზე არსებული საკონფერენციო დარბაზი

ფრაქციის სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ნიჟარაძე მარეხი,მხეიძე დიმიტრი, ბასილაძე გია,ჩიხლაძე მანანა, მახარაძე ბაქარი, ლილუაშვილი პაატა, ხამაშურიძე ბესიკი, ნადირაძე თემური,ბიბილეიშვილი ჯემალი, გიორგაძე მიხეილი.

სულ ესწრებოდა: 10 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ჯუღელი თეა, კოსტავა მაგდა,სიმონიძე მაია,რიჟამაძე მამუკა, მამასახლისი ზაქრო,შენგელია ირაკლი,კოპალეიშვილი ამირანი.

სულ: 7 წევრი.

სხდომაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **დემურ ინანეიშვილი.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხი ნიჟარაძემ.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს**

ფრაქცია „ქართული ოცნების“

N26 სხდომის ოქმის

წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ N26 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის მიერ 2023 წლიდან 2024 წლის მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბატონი დემური ინანეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის''
სამსახურის ხელმძღვანელი

2.მიმდინარე საკითები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ ფრაქციის N26 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი-
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის
მიერ 2023 წლიდან 2024 წლის მაისის
ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი
ღონისძიებების შესახებ

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელმა ბატონმა **დემური ინანეიშვილმა.**

,,წარმოგიდნენთ ინფორმაციას ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის მიერ 2023 წლიდან 2024 წლის მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" მიერ 2022 წლის 25 მაისიდან მიმდინარე პერიოდისათვის ჯამში განხილული და პასუხგაცემული იქნა 4791 კორესპონდენცია (მათ შორის მოქალაქეთა განცხადებები, სხვადასხვა სამსახურიდან და უწყებებიდან შემოსული წერილები).

კანცელარიის მეშვეობით დარეგისტრირებული იქნა 1497 განცხადება (მათ შორის სასამართლოს გზავნილები);

ელექტრონული განცხადებების პორტალის მეშვეობით ატვირთული იქნა 1187 ელექტრონული განცხადება;

სამსახურში დარეგისტრირებული იქნა 2116 წერილი;

მომზადდა 3412 წერილობითი პასუხი;

მომზადდა 1057 ბრძანება;

მომზადდა 309 დადგენილება;

ჩატარებული იქნა ექსპლუატაციაში მიმღების კომისიის 25 სხდომა;

ცხელ ხაზზე შემოსული ზარების რაოდენობა: 1012;

გაცემული საჯარო ინფორმაცია: 35.

სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება:

მშენებარე ობიექტების გადამოწმების მიზნით, განხილული იქნა სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურიდან შემოსული 400 წერილი;

განხილული იქნა კანცელარიით შემოსული 378 განცხადება;

განხილული იქნა ელექტრონულად შემოსული 1091;

მითითება - 291;

შეწყვეტილი საქმეები (დარღვევის გამოსწორება მითითებით განსაზღვრულ ვადაში) – 106;

დადგენილებები დაჯარიმების შესახებ - 185;

ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 127 შენობა.

სამშენებლო სამართალდარღვევებიდან 2022 წლის 25 მაისიდან 2024 წლის მიმდინარე პერიოდამდე ბიუჯეტში შემოსულია **560 714 ლარი.**

იურიდიული მიმართულება:

40 ადმინისტრაციული სარჩელი (სამშენებლო სამართალდარღვევევათა მიმართულებით); მომზადებულია 40 შესაგებელი;

შედგენილია 83 ადმინისტრაციული სარჩელი (დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით იურიდიული პირების და ინდ. მეწარმეების მიმართ); შემოსულია 69 ადმინისტრაციული საჩივარი, მათგან ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ არ დაკმაყოფილდა 68 , დაკმაყოფილდა - 1.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ სასარგებლოდ დააკმაყოფილა: 25 სარჩელი დასუფთავების მოსაკრებელზე (ყველა); ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 35 ოქმი (ყველა).

სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებული გვაქვს საქალაქო სასამართლოს 5 გადაწყვეტილება, მათგან ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ სასარგებლოდ დააკმაყოფილა 3.

მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება:

1. ავტომობილები

ავტომობილების დგომა-გაჩერების დადგენილი წესის დარღვევისათვის შედგენილი ჯარიმა --1127 ერთეული
დაკისრებული თანხა --57740 ლარი
საურავი დაეკისრა ---- 255 ერთეული
აღსრულება ---------- 170 ერთეული
100 ლარიანი ბასლაინზე--------232 ერთეული
10 ლარიანი ტროტუარზე---------- 885 ერთეული
შემოსული თანხა -- 45451.19 ლარი.

2. პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკები

შემოწმებული ობიექტი --- 33 ერთეული
ამოღებული ცელოფნები--9257 ცალი
დაკისრებული ჯარიმა ---12000 ლარი
ამოღებული თანხა ---6500 ლარი
აღსრულება ------- 3 ერთეული

3. აკუსტიკური ხმაური

შემოწმებული ობიექტი --- 16 ერთეული
ადმინისტრაციული ოქმი შედგა --- 3 ობიექტზე
დაკისრებული თანხა --- 1500 ლარი
დაკისრებული თანხა -----71240.00 ლარი
ამოღებული თანხა --------51951,19 ლარი
ამოსაღები თანხა ----------19288,81 ლარი

სანებართვო პირობების დაცვისა და საექსპლოატაციო ობიექტების ზედამხედველობის განყოფილება:

დასუფთავება

- დასუფთავების მოსაკრებლის 2022 წლის ბიუჯეტი 2 100 000 ლარი, შემოსული თანხა 2 188 349,43 ლარი; 2023 წლის ბიუჯეტი 4 200 000 ლარი, შემოსული თანხა 3 570 200 ლარი; 2024 წლის ბიუჯეტი 4 200 000 ლარი, 2024 წლის მიმდინარე პერიოდისათვის შემოსული თანხა 1 519 536,89

- სასამართლოში დასუფთავების მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო გაგზავნილია 124 სარჩელი (221 272.78 ლარი).
- სასამართლოში წინა წლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვნის მიზნით გაგზავნილია 75 წერილი, აქედან მიღებული 18 სააღსრულებო ფურცელი დაკისრებული თანხის იძულებით ამოღების მიზნით გადაგზავნილია სააღსრულებო ბიუროში.
- გაფორმდა 4 მორიგება, 3 შეთანხმება დავალიანების დაფარვის თაობაზე და 23 შუამდგომლობა სარჩელის უკან გამოხმობასთან დაკავშირეით, ვინაიდან სრულად მოხდა დავალიანების დაფარვა.

პირუტყვის დაკავებაზე დაწერილი ოქმები

- დაჯარიმდა 105 ფიზიკური პირი.
- დაიწერა 130 საჯარიმო ოქმი.
- ა.ს.კ. 148 მუხლის მე-3 ნაწილთ 34 ოქმი (980 ლარი).
- ა.ს.კ. 148 მუხლის მე-4 ნაწილით 96 ოქმი (5550 ლარი), ჯამში **6530** ლარი.
- ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევასთან დაკავშირებით დაიწერა 4 ოქმი.
- ა.ს.კ. 103 მუხლის მე-2 ნაწილით 3 ოქმი (450 ლარი).
- ა.ს.კ. 103 მუხლის მე-3 ნაწილი 1 ოქმი (300 ლარი), ჯამში **750** ლარი.

ჯამი 7280 ლარი.

ტრანსპორტი

- 2022 წლის ტრანსპორტის ნებართვის საფასურის ბიუჯეტი 600 000 ლარი, შემოსული თანხა 315 800 ლარი; 2023 წლის ტრანსპორტის ნებართვის საფასურის ბიუჯეტი 440 000 ლარი, შემოსული თანხა 450 091,40 ლარი; 2024 წლის ტრანსპორტის ნებართვის საფასურის ბიუჯეტი 250 000 ლარი, 2024 წლის მიმდინარე პერიოდისათვის შემოსული თანხა 98 569 ლარი.
- ჯამში შემოსულმა თანხამ შეადგინა **864 460,40** ლარი.
- სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტზე დაიწერა 6 ადმინისტრაციული ჯარიმა (**600** ლარი).

მუნიციპალიტეტის ქონების დაზიანება

- დაფიქსირდა მუნიციპალური ქონების დაზიანების 39 შემთხვევა.
- 7 შემთხვევაში ვერ მოხერხდა ბრალეული მძღოლის გამოვლენა.
- 3 შემთხვევაში ბრალეულმა მძღოლმა აღადგინა დაზიანებული მონაკვეთი სრულად.
- 2 შემთხვევაში ბრალეულ მძღოლთან გაგზავნილია წერილი ზარალის ანაზღაურებესთან დაკავშირებით. მიმდინარეობს საქმისწარმოება.
- 23 შემთხვევაში მიყენებული ზარალის იძულებით ამოღების მიზნით სააღსრულებო ფურცელი გადაგზავნილია აღსრულების ბიუროში.
- 9 შემთხვევაში ბრალეული მძღოლის მიერ სრულად მოხდა მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ჯამში ანაზღაურდა **14188,84** ლარის ოდენობის ზარალი.

ზედამხედველობის განყოფილება

2022, 2023 და 2024 წლების დამტკიცებული ბიუჯეტით არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (მუნიციპალიტეტის ქონების იჯარა) შემოსავლის გეგმა სამსახურს განესაზღვრა **1400570** ლარი.

ა) მუნიციპალური ქონებიდან იჯარის შემოსულმა თანხამ შეადგინა **1291821,07** ლარი.

ბ) გარე რეკლამის განთავსების იჯარიდან და გარე ვაჭრობის უფლების საფასურიდან ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა **342464** ლარი.

სულ 2024 წლის 15 მაისისათვის ბიუჯეტში შემოვიდა **1634285,07** ლარი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარის გეგმა შეადგენს **360000** ლარს. ბიუჯეტში 2024 წლის 15 მაისისათვის შემოსული თანხამ შეადგენს **232415** ლარს.

2024 წლის 15 მაისისათვის ქუჩის სამუშაოს საწარმოებლად გაცემულია 160 ნებართვა

2024 წლის 15 მაისისათვის შედგენილია 2 ადმინისტრაციული ოქმი. მიმდინარეობს სასამართლო განხილვა.

2024 წლის 15 მაისისათვის შედგენილია 75 საჯარიმო ქვითარი. მათ შორის:

2022, 2023 და 2024 წლებში ზედამხედველობის განყოფილების მიერ შედგენილია 112 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მათ შორის:

1.სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის დაკავებისათვის შედგენილია 5 ოქმი;

2. საზოგადოებრივი ადგილების თვითნებური შეზღუდვისათვის შედგენილია 36 ოქმი;

3. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისათვის 7 ოქმი;

4. იერსახის თვითნებური შეცვლისათვის შედგენილია 16 ოქმი;

5. გზის საფარის თვითნებური გადათხრისათვის შედგენილია 5 ოქმი;

6. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევასა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე დარღვევისათვის შედგენილია 7 ოქმი;

7. რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის შედგენილია 35 ოქმი;

8. სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობისათვის შედგენილია 1 ოქმი.

2022, 2023 და 2024 წლებში ზედამხედველობის განყოფილების მიერ შედგენილია 212 საჯარიმო ქვითარი მათ შორის:

1.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის დაკავებისათვის შედგენილია 11 საჯარიმო ქვითარი. აქედან 9 შეეფარდა გაფრთხილებ. ჯარიმის თანხა **11000.**

2.სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის დაკავებისათვის შედგენილია 3 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **3000** ლარს.

3. საზოგადოებრივი ადგილების თვითნებური შეზღუდვისათვის შედგენილია 18 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **15500** ლარს.

4. სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობისათვის შედგენილია 9 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **11400** ლარს.

5.იერსახის დამახინჯებისათვის შედგენილია 6 ქვითარი ჯარიმის თანხა შეადგენს **300** ლარს.

6. იერსახის თვითნებური შეცვლისათვის შედგენილია 7 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **9500** ლარს.

7. გზის საფარის თვითნებური გადახრისათვის შედგენილია 10 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **7800** ლარს.

8. გარე რეკლამის სანებართვო პირობების დარღვევისათვის და უნებართვო გარე რეკლამის განთავსებისათვის შედგენილია 2 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **800** ლარს.

9. რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის შედგენილია 22 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **58000** ლარს.

10. აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის 1 პირს გამოეცხადა გაფრთხილება

11. ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და არასათანადოდ გადახურული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისათვის შედგენილია 117 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **43100** ლარს.

12.სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის განთავსებისათვის შედგენილია 2 საჯარიმო ქვითარი ჯარიმის თანხა შეადგენს **2500** ლარს

13. ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრისათვის შედგენილია 2 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **3000** ლარს.

11. სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოებისათვის შედგენილი 2 ქვითარი. ჯარიმის თანხა შეადგენს **10000** ლარს.

სულ ჯარიმით დაკისრებული თანხა შეადგენს **175900** ლარს. **133** პირმა გადაიხადა ჯარიმა. 44 ქვითარზე მიმდინარეობს წარმოება. 35 საჯარიმო ქვითარი გადაგზავნილია იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში. სულ შემოსულია **112834,56** ლარი.

ეკოლოგიისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის ზედამხედველობის განყოფილება

პირადი კორესპონდენცია - 670
გადაბელვა - 440
სხვლა-ფორმირება - 671
მოჭრა - 237
უარყოფა - 166
ინფორმაციული - 71

დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე**: ,,მადლობა ბატონო დემურ საინტერესო და საკმაოდ ვრცელი ანგარიშის წარდგენისთვის.მინდა წარმატებები გისურვოთ თქვენ და თქვენს თანამშრომლებს, ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.მე მაქვს რამოდენიმე კითხვა თქვენთან, პირველი რაც მაინტერესებს ცხელ ხაზზე შემოსული ზარის ანონიმურობა არის თუ არა დაცული?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის

ანონიმურობის დაცვა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მოითხოვს მეორე მხარე,ოფიციალური განცხადების საფუძველზე და სასამართლოში წარსადგენად ჭირდება, შეგვიძლია გავცეთ.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,ბატონი თეიმურაზ ნადირაძე:''ვისზე გაიცა 35 საჯარო ინფორმაცია?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:**,,აღნიშნული ინფორმაცია ძირითადად გაიცა არასამთავრო ორგანიზაციებზე,მედია წარმომადგენლებზე.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე** : ,,დარღვევა გამოასწორა განსაზღვრულ ვადაში, რა იგულისხმება დარღვევის გამოსწორებაში?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:** ,,დარღვევის არსებობის შემთხვევაში გასასწორებლად ვაძლევთ 5-10 დღის ვადას, თუ კი გამოასწორებს მოცემულ ვადაში საქმისწარმოებას ვწყვეტთ.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე** : ,,არის საჩივრები,როცა თქვენ ეუბნებით,რომ თქვენს კომპეტენციაში არ შედის.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:** ,,არის სამეზობლო დავები,როცა ვერ ადგენენ მიჯნის ზონებს, ამ შემთხვევაში არ ვერევით. თუ კი ქალაქის ტერიტორიაზე ხდება მიწის მისაკუთრება, ჩვენი მხრიდან ხდება რეაგირება.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი **გია ბასილაძე:**,,დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით შემოსულია 69 ადმინისტრაციული საჩივარი,აქედან არ დაკმაყოფილდა 68, დაკმაყოფილდა 1''.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:** ,, დაუკმაყოფილებელი საჩივრები ძირითადად წარმოდგენილი იყო ობიექტები,ს შპს-ების, მეწარმეების მხრიდან, რომლებიც არ იხდიდნენ თანხას.აღნიშნული საჩივრები კანონის შესაბამისად გადაგზავნილი იქნა სასამართლოში და თითქმის ყველა სასამართლო მოგებულია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:**,,ტროტუარებზე დგომა-გაჩერების წესის დარღვევის შემთხვევაში ვის ეკუთვნის ჯარიმის ოქმის შედგენა?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:**,,ძირითადად ცენტრალურ უბნებში ხდება დაჯარიმება, შიდა ქუჩებში არ შევდივართ.ჯარიმა შეადგენს ბორდიულებზე 10ლარს და ავტობუსის გაჩერებაზე 100 ლარს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' თავმჯდომარის მოადგილე ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** ,,აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების დარღვევისას, რა შემთხვევაში ხდება ობიექტის შემოწმება?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:**,,საჩივრის შემოტანის საფუძველზე დარღვევის შემთხვევაში ობიექტს ვაჯარიმებთ 1500 ლარით.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **ბაქარ მახარაძე:** ,,პირუტყვის დაკავებაზე ოქმს რის საფუძველზე ადგენთ?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:**,,როდესაც პირუტყვს იჭერს სპეცსერვისების წარმომადგენლები ,ჩვენი სამსახურის მიერ ხდება დაჯარიმება,შემდგომ როდესაც მეპატრონე გადაიხდის ჯარიმის სახით 50 ლარს,პირუტყვი უბრუნდება მფლობელს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' თავმჯდომარის მოადგილე,ქალბატონი **მანანა ჩიხლაძე:** ,,როცა სახელმწიფო საკუთრებაში არის მიწის ნაკვეთი ,უნებართვო დაკავებისთვის რამდენია ჯარიმა?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:**,როცა მოქალაქე თვითნებურად შემოიკავებს მიმდებარე მიწის ნაკვეთს, ამ შემთხვევაში ჯარიმდება 2000 ლარით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:**,, რა ითვლება ქალაქის იერსახის დამახინჯებაში?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''მუნიციპალური ინსპექციის'' სამსახურის ხელმძღვანელი,ბატონი **დემური ინანეიშვილი:**,,იერსახის დამახინჯება გულისხმობს,როცა ვინმე უნებართვო რეკლამას ან რაიმე სახის წარწერას გააკეთებს.''

ფრაქციამ ერთხმად მხარი დაუჭირა და დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ანგარიში.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" ოცდამეექვსე სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე

მ. ნიჟარაძე